„ღმერთო, საშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ!“

კავკასია
kavkasia

ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (77-78) იანვარი-თებერვალი 2015 წელი ფასი 1 ლარი

ერეკლე ტრიპოლსკი: „დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა“ გვ.2

„ჯუთის ბილიკებს ვალვიძებ!..“ გვ.6

უშენო განთიადებით... გვ.5

მურთაზ არაბული

ბარისახოსკენ

ცისპირტეხაა. ნისლი ბარბაცით
აეტოტავა, აჭყვა ამაყ მთებს.
ჰე–ჰეი, ნისლო,
მიხვალ სადამდის,
აი ეს მთები გადამატარე!
ფეხდაფეხ მომდევს
ჩემი აჩრდილი,
ავჩქარდები და ფეთიანდება.
ჩუმი ალერსით ვიცი ამ დილით
გზა დამილოცა დედის თვალებმა.
შევხედავ სალებს, გარდავიქმნები,
დავაყურადებ არაგვის ბუბუნს,
თოთია, კოლა, ბიძა–შენები,
ვიცი მელიან ამ დღის მიწურულს.
ვჩქარობ და ამ გზას ვეღარ ვახანებ,
გველეთის ჭალას ავცდები როდის,
ჩამისაფრდება ტიალი ღამე
და არ მიმიშვებს ბარისახომდის.
გონება: მაინც უნდა იარო!
თუნდა გაგიხდეს
ღამე მოსისხლედ!
გული: იარე, ადამიანო!
იქნებ გზა–ჭალას
მაინც მოვცილდეთ!

პირიქითა ხევსურეთი, ხახაბო.

«მერე... რო ჩამოდგა თოვანი»...

ეს წერილი დიდი ხანია, რაც რედაქციაში მომაწოდა ხევსურეთის კაი ყმამ, გოგი ჭინჭარაულმა და გაურკვეველ ვითარებაში დავკარგე. სასწაულად, სულ ახლახანს ვიპოვე და გთავაზობთ...

უკვე დიდი-ხანია, რაც ხევსურეთში ესეთა ყროლი (ხევს. ცუდი) ზამთარი არ ყოფილა.

ჯერ იყვა-და ისეთა ყინვებ დაიჭირა, რო სიცივით ქვა ტყვრებოდა. 20-25 გრადუსს უჩვენებდის თერმომეტრი. შიგათი თუ გარეთი დააზრო და გააკლდევა ყველაფერი. არაგვი და პატარა წყლებ-ხო ნიადე ყინულის ჯავშან-ბეგთრით შემოსა – აღარ ჩანდა, სად ხმელეთი იყო და სად – წყალნი. ყინვარებშუა ნაკადულივითღა მიძვრებოდა არაგვი. ზოგჯერ შიშის ზარის მცემელი, ახლა ბალღების სამასხარაო გამხდარიყო – ზედ გადიგამოდი თავისუფლად შეიძლება. ერთ თვემდე გასტანა ყინვებმა. ხან დაიკლის, ხანაც – მოიმატის.

მერე... რო ჩამოდგეს თოვანი, სამ დღეს აღარ გაუდარებავ – გაბმით თოვდა. სახლები ძლივსღა ჩნდეს თოვლში. ერთმანეთთან მისასვლელი გზის გახვეტას ძლივ ვასწრებდით. საქონელს ვეღარ ვაწყლევდით, წყლის დალევინებაზე ჩაიკეტა სამანქანე გზა, დაზიანდა ელექტროხაზები, მოვსწყდით სამყაროს. კიდევ კარგი, მობილური ტელეფონები გვაქვს, ეგ რო არა, გამოვყრუვდებოდით.

ორ-ორ მკვდარი ესვენა იმ დღეებში კორშა-ბარისახოს. ცალ-ცალკე საზიდავი გახდა ჩასასვენებელი, სახურავი და მიცვალებული, ისიც ძლივ განიჩბულ ბილიკზე, ორი კაცი რო ვერ აუვლიდა გვერდს ერთმანეთს.



ასე წვალებით მივაბარეთ მოხუცები მიწას და გვაპატიონ იმათმა სულებმა, თუკი მთლად რიგიანად ვერ აღვასრულეთ ყველაფერი.

თოვა რო შეწყდა, მეორე დღეს ვერტმფრენი გამოჩნდა ცაზე.

მთავრობის კაცებთან ხევსურების შეხვედრა და იქ წამოჭრილი საკითხები რო აღვწერო, დიდ დროს წაიღებს, მაგრამ ძირითადებს კი ჩამოვთვლი: მუდმივად ექიმის ყოლა ადგილზე, ელმონტიორის საშტატო ერთეულის დაშვება, ერთი „რაციის“ დადგმა ბარისახოში, რადგან პირიქითა ხევსურეთში მობილური კავშირი არ არის, ბულდოზერი ფშავ-ხევსურეთის ხეობას და კიდევ მიკროავტობუსი სკოლა-ინტერნატს.

რამდენიმე დღის შემდეგ ორი ვერტმფრენი შემოფრინდა ხეობაში. ორივე საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა, რომელთაც შემოიარეს მთელი ხევსურეთი და ჰუმანიტარული დახმარება ჩაუყარეს სოფლების მცხოვრებთ.

შვეულფმფრენს პირიქითა ხევსურეთში რო ეფრინა, უფრო კარგი იქნებოდა – ამ დიდთოვლობისას მათ უფრო უჭირდათ, ვიდრე დიდ სოფლებს, ერთი „თვალის დავლების“ მეტს კი არას ითხოვენ ისინი.

მთიანი კუთხეებიდან მოსახლეობის აყრა-გადასახლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი უგზოობასთან ერთად, დაბალი სამედიცინო მომსახურება, ანდა ზოგან საერთოდ მისი არქონა გახდა. ხევსურეთის სოფლები ამ სამწუხარო რეალობის ყველაზე დიდი „მსხვერპლნი“ არიან.

ადრეც და ახლაც აქაურთაგან ხშირად მსმენია: – აქ რომ უექიმობით რამე დაგვემართოს ან მე, ან ჩემს შვილებს, ან საქონი რად გინდა, ან – ნაქონიო და მართლაც ვერ გაამტყუნებ, რა პირით, რა ნამუსით ეტყვი: – სოფელს ნუ დატოვებ, ბარში ნუ გადასახლდებიო.

ბარისახოში ამბულატორიად გადაკეთებული საუბნო საავადმყოფოს შენობის სახურავი და კედლები 5-6 წლის წინ ჯერ კიდევ ვარგისი იყო. ერთ დროს 25 საწოლიანი საავადმყოფო მთელ ხევსურეთს და უკანაფშავს ემსახურებოდა.

შარშან ზაფხულში სტომატოლოგის საშტატო ერთეული გააუქმეს. მას აქაური კაცი, „ყველაფრის და ყველას ექიმი“ ირაკლი არაბული ემსახურებოდა. ძალიან გავიხარებდით პირაქეთა ხევსურეთელები, ამბულატორიას სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა რომ ჰქონდეს, რადგან რაიონს 50 კილომეტრი გვაშორებს და სანამ იქიდან მანქანა ამოვა, შეიძლება ავადმყოფს რამე დაემართოს.

ერთ კა-ამბავიც ითქმის: განვლილ

გაგრძელება ბოლო გვერდზე

დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა

ერეკლე ტრიპოლსკი 1951 წლის 24 სექტემბრეს დაიბადა. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, ინგლისური ენის განხრით. ასევე დაამთავრა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, დოკუმენტური კინოს და ტელეფილმის რეჟისორის სპეციალობით და მუშაობდა კინორეჟისურაზე. 1974 წელს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორანტად მუშაობდა.

1975-1984 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ლაბორატორიის რეჟისორი.

1984-1995 წლებში იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი. 1995-2003 წლებში ტელეკომპანია მე-9 არხის გენერალური დირექტორი.

2004-2008 წლებში ტელეკომპანია „მზის“ განყოფილების ხელმძღვანელად გვევლინება.

2008 წელს საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს თავჯდომარეა. 2009-2011 წლებში ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

2011-2012 წლებში ტელეკომპანია მე-9 არხის გენერალური დირექტორის მრჩეველი გახდა.

ბატონი ერეკლე ამჟამად დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია, ასევე ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარეა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის, ესპანეთის სამეფოს, თურქეთის რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკის, ყაზახეთის რესპუბლიკის, პარლამენტთა მეგობრობის ჯგუფის წევრი, ევროკავშირის (საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის საპარლამენტო დელეგაციის წევრი.)

— ბატონო ერეკლე, ვიდრე საუბარს დავიწყებთ მინდა განსაკუთრებული პატივისცემა და სითბო გამოვხატო თქვენდამი, როგორც <u>საქართველოსთვის დაუვიწყარი მსახიობის, იაკობ ტრიპოლსკის</u> შვილისადმი და ჩემი ღრმა პატივისცემა მისი შემოქმედებითი ღვაწლის მიმართ.

<u>დეპუტატობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მითუმეტეს მთიან რეგიონში, რადგან უამრავი სამქიანობის თვალსაზრისით აქ მეტი პრობლემა გროვდება. რა არის თქვენთვის დუშეთის რაიონი, საკუთარი არჩევანია თუ ნებისმიერი კუთხე, სადაც შემოგთავაზებდნენ?</u>

— დიახ, ქალბატონო იზა, გეთანხმებით, რომ დეპუტატობა რთული ყოფილა, ეს ხომ ჩემთვის ახალია. მე პირველად ვარ მაჟორიტარი დეპუტატი და დავინახე რა დიდი პასუხისმგებლობაა, რა უდევს საფუძვლად ამას, იმასაც გიპასუხებთ, რომ დუშეთი ჩემთვის სულერთი არ იყო. რა თქმა უნდა არჩევანი მქონდა. რომ დუშეთში ვყოფილიყავი, რადგანაც ჩემი გვარის ისტორია საქართველოში დუშეთიდან იწყება. აქედან გამომდინარე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ქალბატონი **ინგა გრიგოლიას** გადაცემაში, რომელიც ჩემთვის უცნობ დუშელ მოქალაქეებთან თუ „უცხოპლანეტელებთან“ გაცხადდა, მათ ჰკითხეს: მიცნობენ თუ არ მიცნობენ, ამაზე სამმა ადამიანმა უპასუხა, რომ არავინ არ არის მათი დეპუტატი და არ მიცნობენ.

**„ამდენ გზებს ტყუილად ვაკეთებთ, ფული გადაყრილია, არავინ არ დაბრუნდება იმ სოფლებში, რომლებიც დაიცალა. რანაირი გზაც არ უნდა გაიყვანონ. რა თქმა უნდა ჩავლენ. კომფორტით იმგზავრებენ, ძალიან კარგია, რომ კომფორტით იმგზავრებენ. ჩავლენ, დარჩებიან იმ საღამოს იქეიფებენ და ჩამოვლენ. ის რომ ვინმე დაბრუნდეს მთაში ტყუილია. მარტო გზა ვერ უშველის, თუ იქ საწარმოები არ აშენდა, თუ იქ ადამიანები არ დასაქმდებიან. იქ ერთ ადამიანი ერთ ოჯახი ერთ ოჯახი ერთ ოჯახი. ეს

დეპუტატობა უდიდესი პასუხისმგებლობაა

მე-2 გვერდიდან

არ დაიგეგმა, რა უნდა მოხდეს მცხეთა-მთიანეთში, რა უნდა მოხდეს სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში...

— ფურცელზე რჩება, ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

— არც ფურცელზე არ მინახავს, მსოფლიო ბანკის პროექტით მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთს გამოეყო 60 მილიონი, რათა გაკეთდეს პროექტები.

რა თქმა უნდა თქვენც იცით, რომ ფშავ-ხევსურეთმა არაერთი სახელოვანი ადამიანი შესძინა საქართველოს. მარტო ვაჟა-ფშაველა რად ღირს, რომლის სახელიც დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ალბათ

ბოდერი ჩოხელი ჩემი მამიდაშვილი იყო და მის დაბადების დღეს 2 ოქტომბერს, ჩემი გამოსვლისას ვთქვი, რომ სოფელი ჩოხი ვეცდები ვაქციო მეორე ჩარგლად. ამისთვის ზომები მივიღეთ:

290 სოფლისთვის ლუშეთის რაიონში გამოყოფილი არის თანხა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა — მილიონ ორასი ათასი ლარი — ამ საქმისათვის. აქედან სიდიდის მიხედვით თითოეულ სოფელს ხვდება 4 ათასი ლარი, 5 ათასი, 12 ათასი, 17 ათასი. წინა ორი წელიწადიც სოფლის პროგრამა მუშაობდა.

ესაუბრა
იზა
ჯაჭვაძე

გუდამაყარი

მერი დიხამინჯია

ლამარა ჩინჩალაძის ხსოვნას

ნვიმიანი დღისა და ღამის სტუმარი

ნარკვევი-რეკვიემი

„მომიგონებდეთ, გახსოვდეთ უზენაესისაგან ნაწილადევი სიტყვის მხოლოდ ჩემეული ძალით და სიკეთით“

ეს პატარა, ძუნწი ეპიტაფია შენი დაწერილია. იგი ერთ შენს საგაზეთო წერილში მიუძღვენი ჩვენს გარდაცვლილ მეგობარს, კოლეგას, ცნობილ ჟურნალისტს. დღეს კი, ვიტოვებ უფლებას და ჩემს „რექვიემს“ გიძღვნი შენ, შენსავე საფლავის ქვაზე წასაწერად. სიცოცხლეშივე თქვი საკუთარ თავზე ის, რაც სხვას, ან თუნდაც მე უნდა მეთქვა. მაპატიე ჩემო დედამიშვილებთან გაიგივებულო მეგობარო შენი უბადლო ჟურნალისტური ნიჭიერების მოწმე საქებ ოდას და მხატვრულ ნარკვევს კი არა, ამ ცრემლიან სტრიქონებს რომ გიძღვნი. და აქაც, სხვისი ნიჭის შენეულ შეფასებაში ერთ სიტყვასაც ვერ შევცვლი.

დიახ! გიგონებთ და გვახსოვხარ სიტყვის შენეული ძალით და სიკეთით...

იმ დღესაც წვიმდა. მაშინ ძალიან ლამაზი, მშვიდი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა. არც მზე ლამობდა ღრუბლებში მიმალვას. იგი იცინოდა და პირს იბანდა. ხის ტოტებზე შემომჯდარი ბეღურები საამურად გალობდნენ, სტვენდნენ და ჟღურტულებდნენ. ძნელია სახელი მოუძებნო თავისებურად ამეტყველებული ფრინველების ბგერათა ჰარმონიულ სამყაროს. ზოგიერთი დასველებული, უფრო სწორად, დანამული ჩიტები ფანჯრის რაფაზე გასაშრობად გაფენილ გოგრის თესლებში საკენკს ეძებდნენ. მათი ჟღურტული, ონავრობა და ანცობა საოცარ ელფერს მატებდა იმ მოკრძალებულ წვეულებას, შესვენების დროს სამსახურში რომ გავმართეთ. თუმცა ამ თავყრილობაზე განსაკუთრებული და პომპეზური არაფერი ყოფილა. არ გვქონია ირმის მწვადები და შუშხუნები, მაგრამ ჭარბად იყო დედას პურები, სითბო და სიყვარული, რომლებსაც ერთმანეთს თანაბრად ვუნაწილებდით. არასამუშაო საათებში ასე ჩვენ ხომ ყოველდღე ვიკრიბებოდით. ამიტომაც, სხვა დღეებთან განსხვავებით, მარტის იმ ჩვეულებრივ სამუშაო დღესაც განსაკუთრებული იყო მხოლოდ თარიღი, რომლის აღნიშვნაც ჩვენი მეგობრის, კოლეგის დაბადებას ეძღვნებოდა. ითქვა ძალიან ბევრი ლამაზი ლექსი, შესრულდა დაუვიწყარი სიმღერები, მოგონებები მოგონებებს ენაცვლებოდა და დღე იყო მართლაც განუმეორებელი.

ჩვენი იუბილარი ქალბატონი კი გამუდმებით თვალს ადევნებდა სტუმრად მოსულ მგალობელ ჩიტებს, რომლებიც გასაშრობად გაფენილ გოგრის თესლებს გამეტებულად მიმოფანტავდნენ. გოგრის ეს საუცხო ნაყოფი მას ხომ ხშირად მოჰქონდა რედაქციაში ჩვენთვის, როგორც საუკეთესო სამკურნალო საშუალება და იმ დღესაც, ჩვენი ოთახის ფანჯრის რაფაზეც სწორედ მან გაფინა გასაშრობად, იგი ორაზროვნად იღიმებოდა. იქნებ ნაღვლობდა კიდეც? ვინ იცის...

ქალბატონმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას, წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ჩიტები გაფრინდნენ. მან მზერა გააყოლა პატარა ონავრებს და ძალიან ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგონა, კვნესანარევი ჩურჩულით ნაღვლიანი ამღერებული სტრიქონები თან დაადევნა: „ჩემო ბეღურა, ჩიტო, ჩემთან დარჩი და გაშრი“. წვიმის ფარდაც ჩამოეფარა.

ჩემთვის მარტის ის დღე იყო განსაკუთრებული, რომელიც დღემდე არ მავიწყდება. ერთმანეთში შერეული წვიმა, მზე, ჩიტები, ამღერებული ქალბატონი, დედის პურით დაუდის ყველით გადახდილი დაბადების დღე და ყველაფერი ერთად მაგონებდა ბუნების კიდევ ერთ საოცრებას...

ეს იყო მაშინ, როცა შხაპუნა წვიმა მოდიოდა. ახლა კი კოკისპირულად წვიმს. თითქოს ცამ პირი გახსნა და მთლიანად ჩამოიქცა. სულ ცოტაც და მალე შარაზე დაგროვილი გუბეები ნაკადულებად გადაიქცევიან. ამოვარდნილი ქარიც მძლავრად გუგუნებს. ხეებიდან მოგლეჯილი ფოთლები უმისამართოდ დაფრინავენ. ბნელი, კუპრისფერია ხმაურიანი ღამე. ვდგევარ სარკმელთან და ველოდები როდის გაიმეტებს სიკეთეს ეს მბრძანებლური ბუნება. ვიცი ამაღამ გულში მწუხარება ღამეს გაათევს, რადგან მელოდება ტკბილ და ნაღვლიან წარსულთან შეხვედრა.

„წვიმს, ეს შენ ხარ ცრემლებად დაძრული“, იქნებ „გსურს არც გაიდაროს“ და პოეტისაგან ნასესხები ეს სტრიქონებიც შენთან ასოცირდება ჩემო მონატრებულო მეგობარო.

„როცა მოვკვდები, იცოდე სხვას არავის დაანებო, შენ დაწერე ჩემზე რამე — დამპირდი“...

ასე მითხარი იმ დღეს, როცა თვალცრემლიანი კითხულობდი ჩემს საგაზეთო სტატიაში „სიკვდილის მერე გაგზავნილი ბარათი“

მე რომ მოვკვდები, შენ ხომ დაწერ ჩემზე მეთქი? სწრაფად გიპასუხე...

„არა, არა, არ დავწერ!“ თითქმის ყვირილით და გაბზარული ხმით მითხარი...

ვაგლახ, რომ მე მომიწია... არდა, პირობა არცერთს არ გვითქვამს. ან ხუმრობითაც შეიძლებოდა „კი“? ის კი არადა, ერთმანეთის გასამხნევებლად თვით სიკვდილსაც კი გავეთამაშეთ. ორივემ ხომ კარგად ვიცოდით მაშინ საკუთარი სულის ყივილი...

ახლა კი ვასრულებ თხოვნას და ეს რომ არა, შენზე წარსული დროით ვერასდროს ვისაუბრებდი. ახლაც არ ვიცი რა დავწერო, რა ვთქვა, რა მოგიძღვნა — ნარკვევი, რექვიემი, სახოტბო ოდა თუ კიდევ რა? არ ვიცი...

მოგონებები და ფიქრები ერთმანეთში ირევა და ვიდრე შევძლებ ამ მძიმე ტვირთის აზიდვას, მანამ შენს სასახელო შვილებს, მალხაზს და მედეას მინდა მივმართო, რადგან რედაქციაში შენი სამუშაო დღის დასაწყისი და დასასრული ასე მთავრდებოდა: „დედა ენაცვალოს ჩემს მახოს და მედოს“. და აი ესეც:

„დედათქვენი არ მომკვდარა, ის ცოცხალია და აქ არის ჩვენთან, ჩვენს გვერდით. დაიჯერეთ გარდაცვალების, მან უკვდავებაში გადაინაცვლა და მძიმე ცრემლებით ნუ დაამძიმებთ“(მ.დ.)

დაიბადა და გაიზარდა ქალაქ თბილისში. ბავშვობის ყველაზე ლამაზი ოცნების წლები თბილისის ერთ-ერთ ბავშვთა პანსიონატში გაატარა. სწორედ მაშინ, როდესაც დედაც და მამაც მისთვის მთელი სამყარო უნდა ყოფილიყო, სწორედ მაშინ, როცა მისი სულის ხვეულებში წვდომა მათ გარდა სხვას არავის შეეძლო. ამიტომაც იყო, რომ ამოუცნობი სევდა მთელი ცხოვრება თან დაჰყვებოდა. ყმაწვილქალობის ასაკში კი მასზე მეურვეობა მისმა ბიძებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მეცნიერებმა ვლადიმერ და მიხეილ ჩინჩალაძეებმა აიღეს, აკურთხეს კიდეც სტუდენტობის საუკეთესო წლებს. ხოლო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დამოუკიდებლად შეუდგა ჟურნალისტის ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობას. და ეს მოგზაურობაც ისეთი იღბლიანი აღმოჩნდა, რომ მან დამსახურებულად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი ლამარა ჩინჩალაძე გახლდათ რამდენიმე წიგნის, მრავალი ნოველის, პოემების, ლექსების, მხატვრული ლიტერატურული ნარკვევების, ათეულობით საგაზეთო სტატიების, ფელეტონების, რეპორტაჟების, ჩანახატების ავტორი.

მან შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, სადაც ცხოვრების შეგნებული ორმოცი წელი გაატარა და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა და ემსახურა საყვარელ გაზეთს და საკუთარ ქვეყანას. წერდა და მისი მარგალიტის მძივებად ასხმული სტრიქონები არასოდეს დაავიწყდებათ მადლიერ მკითხველებს. ამიტომაც მისი ნაღვაწით მთელი ტომები შეიქმნება და ყოველთვის დარჩება იგი, როგორც „სახალხო განათლების“ ცოცხალი მემატიანე. მისი მრავალფეროვანი შემოქმედება დაფასებული იყო სხვადასხვა ჯილდოებით. ერთგული მეუღლე, შეუდარებელი დედა, უანგარო მეგობარი, მოსიყვარულე ბებია, უმაღლესი რანგის პროფესიონალი და რა უნდა ინატროს ან გააკეთოს ადამიანმა ამაზე მეტი. და ყველაფრის გამო ხომ სიყვარულის წილ დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. ამიტომაც ღირდა ცხოვრება ტკბილი და მწარე წარსულის ასე საამოდ მოგონებაც.

მე მას სწორედ რედაქციაში შევხვდი და დავუახლოვდი. ჩვენი მეგობრობა გაგრძელდა გაცნობის დღიდან განშორებამდე. და რამდენი რამე ვისწავლე მისგან, ამიტომაც დარჩა ჩემში ქალის, დედის, მეგობრის, მეუღლის, სილამაზის ეს უმშვენიერესი და, რაც მთავარია, სიმბოლო ჟურნალისტისა. ხან სიტყვაძუნწი, ხან კიდევ გასაოცრად სიტყვაუხვი იყო. იშციათია, მაგრამ ფიზიკური და სულიერი სილამაზე თანაბრად იყო მასში შეხამებული. შეუდარებლად უხდებოდა მხრებზე დაფენილი, გაშლილი ოქროსფერი თმები. მის სილამაზეზე და ნიჭიერებაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ერთხელ რუსთაველის გამზირზე ცნობილი მწერალი შემხვდა და როცა მე გამაცნო, მწერალმა მოურიდებლად მითხრა „იცით ლამარა როგორი იყო? აი ისეთი, მწარე ლამაზს რომ ეძახიან.“

მე არ გამკვირვებია მწერლისეული შეფასება, მაგრამ ლამარამ ისე მორცხვად გაიკეკლუცა, რომ წარმოვიდგინე თუ როგორი იქნებოდა ის პირველი პაემანის დროს.

ლამარა ჩინჩალაძე გამორჩეული ჟურნალისტი რომ იყო ქვეყანამ იცის. დიდებული ოჯახის მეპატრონე რომ იყო ისიც იციან. როცა ვკითხულობ მის სულისშემძვრელ სტრიქონებს საოცარი სევდა მეუფლება ცხოვრების ამაოებაზე. ვიხსენებ იმ დაუვიწყარ დღეებს რედაქციაში. ერთად რომ გაგვიტარებია და გვეგონა ყოველთვის ასე იქნებოდა, სამწუხაროდ არა და არა და მოგონებების მორევში ვიძირები.

მასზე, როგორც საზოგადო მოღვაწეზე მკითხველებმა ისაუბრონ, მე დღეს ვსაუბრობ როგორც მეგობარზე და გავიხსენებ რამდენიმე ცხოვრებისეულ ეპიზოდს. ვფიქრობ ეს მოგონებები საუკეთესო შტრიხებია მისი პორტრეტის დასახატად.

90-იანი წლები იდგა. ეროვნული მოძრაობა კულმინაციას აღწევდა. უწყვეტი მიტინგები იმართებოდა. მთელ ქალაქს აზანზარებდა **ზვიად გამსახურდიას** და **მერაბ კოსტავას** ომახიანი შეძახილები. ჩვენ რედაქციიდან გამოვედით და ძლივს გავარღვიეთ რუსთაველის გამზირი. ლამარას ვურჩიე: გამოდი მიტინგზე და ამხილე ინტელიგენციის ის მოღალატე წარმომადგენლები, ტელევიზიასთან ბეტეერებზე რომ შემომსხდარან მეთქი. მას არც დაუყოვნებია და 1-2 წუთით ტრიბუნაზე ავიდა. ჩემდა გასაკვირად ისე შემართებით შემოუძახა ყველას, რომ მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. „წინ ზვიადის გზით, წინ მერაბის გზით!“ ასე დაასრულა თავისი გამოსვლა. სხვათაშორის ის პირველად გამოვიდა მიტინგზე და წარმატებულადაც. როცა რედაქციაში მივბრუნდით, მე რა თქმა უნდა, შევუქე ეს გამბედაობა და თავადაც ამაყად შეაღო რედაქციის კარი. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. სარედაქციო კრება მოეწყოთ და ჩვენ გველოდებოდნენ, თუმცა შინაგანად ყველა მხარს გვიჭერდა, მაგრამ კომენტარების დრო არ იყო.

— აბა, ძვირფასო ქალბატონო რა მოხდა მიტინგზე?! — იკითხა რედაქტორმა. დაბნეულმა ლამარამ მხრები აიჩეჩა და — მერიმ მირჩია — თითქმის წაილულღლუღა. დარბაზში ყველას გულიანად გაეცინა, მათ შორის რედაქტორსაც.

ჩემს თვალში ქალბატონი ლამარა ის ერთი დიდი გულუბრყვილო ბავშვი იყო იმ წუთებში, თუმცა მახსოვს სხვა ისტორიებიც. თუ როგორი შეუპოვარი, პრინციპული, მეგობრული იყო. ამის დასახატად გავიხსენებ ერთ პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ისტორიას რომელიც დღემდე არ მავიწყდება.

ისევ კომუნისტების დრო იყო. რადაქციაში დამავალეს ერთ-ერთი რაიონის პარტიის რაიკომის პირველ მდივანზე წერილის მომზადება. როცა მასალა გამოქვეყნდა, სარედაქციო თათბირზე ზომაზე მეტი ქება-დიდება დავიმსახურე. მეორე დღეს სიტუაცია მთლიანად შეიცვალა. თურმე ამ ადამიანს ცენტრალური კომიტეტი მოსახსნელად ამზადებდა და ჩემი ორგვერდიანი ნარკვევი მათ ხელს არ აძლევდათ, ამიტომაც ისევ სარედაქციო თათბირზე გადაწყვიტეს ჩემი დასჯა. სხდომაზე ხმას არავინ იღებდა, ყველა უსიყტყვოდ ემორჩილებოდა ამ უსამართლო გადაწყვეტილებას, მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ, ყველასგან მოულოდნელად, როგორც დაჭრილი ვეფხვი, ეს უწყინარი ქალბატონი ზეზეულად წამოიჭრა და ასე დამამშვიდა: „საყვარელო, არ ინერვიულო, ვერ ხვდები რას გერჩიან? „რატომ კარგი დაწერეო...“ მერე ხელი მომკიდა და შინ წამიყვანა, ის სამარცხვინო კრება კი დარჩა ასე სამარცხვინოდ...

იმ მომენტში ის იყო ქალი-ლეგენდა, პრინციპული, უშიშარი და რაც ჩემთვის მთავარია, სიკვდილამდე ერთგული მეგობარი.

დიახ! იყო ასეთი შენიღბული დღეებიც, შინაარსით არაფრის მომტანი, მაგრამ იყო ასეთივე ჭეშმარიტი ადამიანურობის გამოვლინების უტყუარი დასტური, რასაც მეგობრობა და სამართლე ჰქვია.

ბევრი მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ეს ფორმატი არ მაძლევს საშუალებას აღვიდგინო ყველა დეტალი, თუმცა არ შემიძლია ერთი შემთხვევაც არ გავიხსენო თუნდაც იმიტომ, რომ ლამარა იყო ჭეშმარიტად სულით-ხორცამდე ამაღლებული ინტელიგენტი და დიდი პიროვნება.

რუსთაველის გამზირზე, ერთ-ერთ ცნობილ ქსოვილების მაღაზიაში, ოქროსფერი ხავერდის ფარდები ვიყიდეთ და ვაკეში შინ მიმიწვია. სახლის პატარა ეზოში დიდი ლეღვის ხე იდგა, რომელსაც ნაყოფი მთლიანად შემოცლოდა, თუმცა ხის კენწეროზე შუაში გადამსკდარი ლეღვი ფოთლებში იმალებოდა. ძალიან

გაგრძელება მე-5 გვერდზე

უშენო განთიადებით...



მარად შენი
იზა ჯაჭვაძე

რა თავზარდამცემი დილა გამითენდა იმ დღეს, ჩემო მურთაზ, როცა შევიტყვე შენი ამქვეყნიდან წასვლის ამბავი.

ჩვენი ერთად ყოფნის ოცმა წელმა უცბად გაირბინა. დედაშენი, დაღლილი და განაწამები, შენი იმედი და სიხარული, იქ, თიანეთის წმინდა და ულამაზეს მიწაზე განისვენებს...

ასე მოკლე სიცოცხლე საწუთრომ შენთვის რატომ ინება? და მაინც, ვიდრე იყავი, დრომ ვერა დაგაკლო რა... ძილში მოგეპარა სიკვდილი და მძინარეს გაჯობა, დაუჩოქებელო ხევსურო!..

წახვედი და თან წაიღე დარდიანი, ნატანჯი და კეთილი გული, ჩანაფიქრები, აუხდენელი ოცნებები და შესაძლოა მონანიების სურვილიც პოეტო და ქართული კინოხელოვნების ზიარო. შენი როლები სულკურთხეული, დიდებული ჩვენი მეგობრის – გოდერძი ჩოხელის ულამაზეს ფილმებში, მუდამ გაუხუნარი დარჩება და თაობებს გადაეცემა შენი სულიერი თუ გარეგნული მშვენიერებით.

არც სიყვარული მომკვდარა, ის თან წაიღე და მეც დამრჩა სიცოცხლის დასალიერამდე, პირთამდე სავსე შენი ხილვებით, სისულელეებით, მშვენიერებით...

ე მაგ დიდრონი და ლამაზი თვალების სითბო, ჩემს სევდიან გულს დიდხანს გაჰყვება.

შენ აღარა ხარ, და შენს მაგივრად, მე ვეფერები უკუნეთ ღამეს, და უშენობით მოწყენილი ვერონის მთვარე გაკვალულ გზაზე მონატრების სივრცეს მიაპობს...

იძინე მშვიდად, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც ჩვენი მარადიული სიყვარულით...

მარადისობაში ხარ, მურთაზ, შენ და დედაშენს მშობლიური და ულამაზესი ვერონა - გომბორის მიწა უნდა დაგყოროდათ და რა დასანანია, ასე რომ არ მოხდა...

უნაზესი სიყვარულით მიუხვალ დედა – მზექალას და როგორ გაიხარებთ!

შენივთებული შენი ლამაზი სული და სხეული, იმ დღეს ქანდაკებად ჩამოქნილიყო და გაუკვალავი გზისკენ მიემართებოდა...

აქ კი, განთიადები უშენოდ შემოიფრქვევიან ჩემს ფანჯრებში...

ლექსის და სიყვარულის კაცი!..

მურთაზ არაბული

...ძალიან მიძნელდება მურთაზ არაბულზე მოსაგონარი წერილის დაწერა...

ძნელია, წარმოიდგინო, რომ ის აღარასოდეს შეგხვდება ქუჩაში, სახლში, ღონისძიებაზე, ანდაც სამეგობრო სუფრასთან, აღარასოდეს გეტყვის ხევსურულ კილოზე: „რა ელ ხარ?!“ აღარ მოგეფერება მისთვის ჩვეული ღიმილიანი თვალებით... მას ხომ ძალიან უყვარდა სიცოცხლე, თავისიანები; ყველა, ვისთანაც გამოვლილი ცხოვრება აკავშირებდა; ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, ბიძაშვილ-ნათესავები, კოლეგები, გარდაცვლილებიც და ცოცხლებიც...

მურთაზ არაბული ლექსის და სიყვარულის კაცი იყო; ის ერთდროულად პოეტიც იყო და მსახიობიც და ეს გაორება მისი სულიდან მომდინარეობდა; ის მხოლოდ ლექსით და სიყვარულით ცხოვრობდა...

და მჯერა, მურთაზის ლექსი და სიყვარული მის შვილებში, შვილიშვილებში, მეგობრებში გადავა და გაგრძელდება. და ეს იქნება მურთაზ არაბულის მარადიული სიცოცხლეც!..

ბაღათერ არაბული
ჟურნალ „ცისკარის“
მთავარი რედაქტორი,
საქართველოს მწერალთა კავშირის
თავმჯდომარის
მოადგილე

შორს სილურჯეში

ავდექი, ამყვა სიზმარი უშნო
და სიჩუმეში სიჩუმეს ვისმენ,
ჭოტი გულისწორს
ყივილით უხმობს,
პასუხს ვერ იღებს, ჩუმდება ისევ.
არავგს ამოჰყვა სტვენით ლემადე,
უკან დატოვა მთები სამხრეთის,
რამდენი რამე ითქვა ჩემამდე,
ან კიდევ იტყვის შემდეგ რამდენი.
ჰა, გაფერმკრთალდა
შუქი ვარსკვლავთა
და გადმოიქცა ზეცა უძირო,
ზევით, ხევებში, ღამე გამქრალა...
ამ სილამაზეს მინდა ვუცქირო.
ცას შევხედე და განაჭენები,
მღვრიე ღრუბელი გადადიოდა,
შორს, სილურჯეში,
ლურჯა ცხენებით
გადაიქროლა გალაკტიონმა...

ეპიტაფია

ვამოკლებთ გზას
და მივალთ ხევდახევ,
დღეს ამ გრძელი გზით
განაწამებნი,
მოვედით, მოგვყვა
ღამე ფეხდაფეხ,
ერთგულ ძაღლივით
დაწვა კარებში.

თინას უხარის ჩვენი სტუმრობა,
ეს სიხარული გულს ნადებია,
გაშალა სუფრა, დაგვსხა პურობად
და შემოგვესწრნენ
ტუჩა, ბერდია.

უცებ სათქმელი ლექსად გაგექცა,
დარჩეს ამ ღამეს ეპიტაფიად.
არ გაპატია ტუჩამ გალექსვა,
გამოგიქანა წკეპლა კაფია.

ბერდიამ ლხენით ვადა მოზიდა,
ძმისწულის ჭირში ჰყავს
ბიძა მაშველად,
ეგონა, ტუჩას გადასწონიდა
და ლხინი ამით უფრო დამშვენდა.

კიდევ გვაწვდიან სავსე სასმისებს
— ეს ერთი ყანწიც უნდა შასვაო!
მერე ჭიშკრამდე გამოგვაცილეს,
გამოგვატანეს ლექსი საგზაო.

ზარი შამამდვის შარაზე

შატილთან შატილივნებმა
შარი შმამდევს შარაზე,
მოყვასთან წადილით შებმა,
გულის კარ ცივად ჩავრაზე.
დამაჭარბებდეს კი ვითა,
მეტანებოდნენ ძალაზე,
შუღლამდე კინაღ მივიდა,
საქმე რო იყო არაზე,
შატილთან შატილივნებმა
შარი შამამდეს შარაზე.

წერილი დედას

არეული მაქვს, დედი, გზა–კვალი,
დავდივარ, ვიყო თითქოს მძინარე,
ბეცად მიღიმის კაცი მზაკვარი,
გაკლაკნილია მღვრიე მდინარე.
გადამეჩეხა კლდიდან მერანი,
გამიორგულდა ქალთა ფერია,
ჩამსაფრებია ჟამი ვერანი,
თვალსაწიერიც ბინდის ფერია.
დატანჯულია სული ეული,
ირგვლივ სიბილწე, შური, ჯალათი,
დანომრილია ჩემი სხეული,
რომ ვერ ვიგუე მონის ხალათი.
შემომჯარვია კაცთა ავი ზნე,
ვწევარ, ნარეკლის ნალი მიგია,
დღეს მე ვარ, ვიცი, ტყვის სამიზნე,
ხვალ კიდევ, ალბათ, სხვისი რიგია.
დიდი ტკივილი სულში ნაბანი,
ამოხეთქვაქმდე სისხლმა გაწმინდა,
წამოიხურა სევდის ნაბადი
და გაიზარდა ნისლში მთაწმინდა.

მინდიას

(მამუკას)

მზე ეფერება,
ხელს ართმევს შორით
და იღიმება ჩემი მინდია,
დიდი მუქ–ლურჯი კურცხალი ორი
მზესა და აკვანს შორის ხიდია.
მზე შენს თვალებში გაორებულა
და ანაწილებს ღიმილით სითბოს,
გახარებული დღეს მე ვარ შენით
შენ გენაცვალე, მინდიავ, შვილო!..

***

ჩემი პატარა სახლი,
ჩემი ლამაზი ჭერხო...
ჩემი ჭაღარა დედა...
ჯვარი დასწერე, ღმერთო!..

ნვიმიანი დღისა და ღამის სტუმარი

ნარკევი-რეკვიემი

მე-4 გვერდიდან

ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ შევწვდი. ბატონი არჩილი, ლამარას მეუღლე ხეზე გავიდა და ნაყოფი ტოტიანად მოტეხა. ლეღვი მე მომაწოდა, ხოლო მეუღლეს ასე მიმართა „აჰა შენ, ჩემო ლამარა, ტოტი ცარიელია, მაგრამ იმხელა სიყვარულია ჩაქსოვილი, რომ ხუთ კილოსაც კარგად დაიტევს, სულ არაფერს, ასე სჯობიაო.“ ვბევრი ვიცინეთ. ლამარას კი ისე შეეცოდა მოტეხილი ხის ნაწილი, მაინცდამაინც აღფრთოვანება დიდად არ გამოუხატავს. ისევ მე გამოვიყვანე მდგომარეობიდან და მის საყვარელ მეუღლეს ასე ვუთხარი: „ბატონო არჩილ, ლამარასნაირი კატეგორიის ქალები იაფფასიან ღიმილს ადვილად არავის სთავაზობენ და არც ჩვენ ვართ ამ შემნთხვევაში გამონაკლისები მეთქი.“ ნამდვილად არ ყოფილა მისთვის მოტეხილი ლეღვის ტოტი ღიმილის მომგვრელი. ბევრი ვისაუბრეთ, ვიმხიარულეთ და შინ გამომაცილეს...

გასახსენებელი კი ბევრზე ბევრია...

ახლა, ამ წუთებში, როცა ეს თავსხმა თავს არ მანებებს ასე მგონია, რომ ჩემთან ერთად ინაწილებს იმას, რასაც მონატრება და მეგობრის სიყვარული ჰქვია, ხოლო წვიმის ნაწილი ჩემი ცრემლებიც არის. მინდა გულწრფელად გითხრა, ჩემი ცხოვრებისა და სულის ნაწილი თან გაიყოლე.

მაგიდაზე მიდევს ცნობილი ჟურნალისტის **მედეა ცუცქირიძის** ისტორიული ნოველა „ჯარისკაცი“, რომელიც აფხაზეთის დიდ ტრაგედიას ეძღვნება. მაღალმხატვრული ღირებულების ეს დოკუმენტური ნაწარმოები გაჯერებულია ისტორიული ფაქტებით, უმძიმესი ტრაგედიებით, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ავტორი სხვადასხვა ეპიზოდებს და მოვლენებს ფრთხილი იუმორითაც გადმოგვცემს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალს და მხატვრული სიტყვის დიდოსტატს ხელეწიფება. ჩემთვის კი მთავარი წიგნის წაკითხვისას ის არის, რომ დედა-შვილის წერის კულტურა, სტილი და მანერა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ლამარა ჩინჩალაძის მიერ გადაცემული ესტაფეტა ღირსეული შვილის ხელშია. ჭეშმარიტად, სიცოცხლე გრძელდება...

P.S. **ჩემო ლამარა,** შენ დაიბადე გაზაფხულზე, მარტის თვეში, იების, ენძელების, ვარდების, ყოჩივარდების ფეიერვერკში. გილოცავ დაბადების დღეს. მთელი შენი ცხოვრება ერთი ლამაზი, დაუმთავრებელი დიდი სიმღერა იყო, შენი ხსოვნა მარადიულია...

P.S. გადაიღო, აღარ წვიმს. არც ველური რაშების თქარა-თქური მირღვევს მყუდროებას, თუმცა მოგონებები და ფიქრები დაუსრულებლად არ მანებებენ თავს. არ მინდა აქ გავჩერდე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, როგორც ღვთაებას. ჩემი წვიმიანი დღისა და ღამის სანატრელო სტუმარო... მით უფრო, როცა შინაგანად მთელი არსებით ჩამესმის მორის რაკელის გენიალური „ბოლეროს“ შორეული და ჩემთვის ძალიან ახლობელი სულისშემძვრელი ჯადოსნური მუსიკის ჰანგები, იქნებ აქლემების ქარავნები ისევ მოდიან? ვინ იცის...

არ გემშვიდობები, მაგრამ ჩემებურად მაინც გეტყვი: ამ სტრიქონებში გული კვლავ იწვის, ლამის ბწკარებიც ცრემლით დავნამო, სხვამ თუ არ იცის შენ მაინც იცი, ჩემო სულო და ჩემო კალამო!

სულთათანა შენს უკვდავ სულს!..

„ჯუთის ბილიკებს ვალვიძებ!..“

გასული წლის სექტემბრიდან თ.ს.უ. ახალგაზრდა მწერალთა წრის გამგეობას ხელმძღვანელობს ГОГИТА АРАБУЛИ. გოგიტა ერთი ჩვეულებრივი, ხევსური ბიჭია. მას ხშირად შეხვდებით უნივერსიტეტში სერიოზული სახითა და მიუკარებელი იერით მოსიარულეს. ეს ერთი შეხედვით, თორემ ისეთი გულღია და ლაღი მოსაუბრეა, გაგიკვირდებათ. არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, სწორედ მისთვის „ყველაზე ძნელი“ შეკითხვით დავიწყე ინტერვიუ: რას იტყოდით საკუთარი თავის შესახებ – ვინ არის გოგიტა არაბული?



– ვარ ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, ვხელმძღვანელობ ახალგაზრდა მწერალთა წრეს და ვწერ ლექსებს. ამის გარდა გოგიტა გატაცებულია სპორტით. კარატეს სკოლაში მეორე წელია რაც დადის და თურმე სერიოზული მიღწევებიც კი აქვს. აი, რა გვითხრა გოგიტამ სპორტის შესახებ: – მე არ შემიძლია სპორტის გარეშე, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემთვის მთავარი საქმე მაინც პოეზიაში მუშაობაა, სპორტით, უბრალოდ გატაცებული ვარ...

– თვლით თუ არა, რომ თქვენს მოვალეობას პირნათლად ასრულებთ?

– ძალიან მომთხოვნი ვარ საკუთარი თავის მიმართ, ამიტომ მუდამ უკმაყოფილების გრძნობა მაქვს და მგონია, რომ რასაც უნდა ვაკეთებდე იმას სრულყოფილად ვერ ვაკეთებ.

– შეიძლება თუ არა რომ ლექსის წერა ისწავლო, თუ პოეტური ნიჭი თანდაყოლილია და მას მხოლოდ დახვეწა სჭირდება.

– ჩემი აზრით პოეტური ნიჭი ღვთით არის მომადლებული, მაგრამ მთავარი მაინც შრომისმოყვარეობაა. თუ არ იშრომე და საშუალება არ მიეცი შენში არსებულ ნაპერწკალს გაღვივებისა – ყველაფერი ფუჭი და უნაყოფო იქნება.

– გოგიტა, როგორ და რა პირობებში იწერება თქვენი ლექსი?

– უმეტესად ღამე, სიმარტოვეში...

– თქვენი შემოქმედების თემა, რაზე წერთ ძირითადად?

– ვწერ სიყვარულზე, აგრეთვე დიდი ადგილი უჭირავს ჩემს შემოქმედებაში მთას. მთა ჩემთვის ყველაფერია! არ შეიძლება იმ ბუნების შვილმა, იქ გაზრდილმა და დაბადებულმა შენი მთა-ბილიკების გახსენებაზე და მონატრებაზე ლექსი არ დაწერო.

– რა არის თქვენს შემოქმედებაში ორიგინალური?

– ნებისმიერი დამწყები მწერალი განიცდის რომელიმე სხვა მწერლის გავლენას. ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩემი საკუთარი სტილი მაქვს. ვცდილობ ვერლიბრის გარდაქმნას – რაც შეიძლება მეტი რიტმულობა და აკუსტიკურობა მინდა მივცე ამ სახის ლექსებს.

– ფიქრობთ თუ არა წიგნის გამოცემაზე?

– ჩემთვის წიგნის გამოცემა სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით არ ვაპირებ. მე ვფიქრობ, რომ პირველი განაცხადი, ის რითაც ფართო საზოგადოებამ უნდა გაგიცნოს მეტად სერიოზული და ბევრისმთქმელი უნდა იყოს.

– რას გვეტყოდით ახალგაზრდა მწერალთა წრისა და მისი მუშაობის შესახებ?

– თ.ს.უ. ახალგაზრდა მწერალთა წრეს დიდი ხნის ისტორია აქვს. თავის დროზე, ბევრი, დღეს კარგად ცნობილი მწერალი იყო ამ წრის აქტიური წევრი. ვცდილობთ აღვადგინოთ ათეული წლების მანძილზე არსებული ტრადიციები. ჩვენს გარშემო შემოვიკრიბეთ ახალგაზრდა მწერლები, მოვიზიდეთ სტუდენტობა. სისტემატურად ვატარებთ ლიტერატურულ საღამოებს, ვაწყობთ შეხვედრებს, ახალბედა ავტორების ნაწერების განხილვას, გასვლით საღამოებს.

აღსანიშნავია გაბრიელ ჯაბუშანურისა და ლევან გოთუას იუბილეებისადმი მიძღვნილი საღამოები. ჩვენი კარები ყველა დაინტერესებული და ნიჭიერი ახალგაზრდისათვის ღიაა.

როგორც გოგიტამ ჩემთან საუბრისას აღნიშნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველანაირად მხარში უდგას და ეხმარება მათ...

– წინასწარ იმაზე ლაპარაკი თუ რას გააკეთებ ძალიან ძნელია, რადგან ზოგი რამ მარტო ჩვენს სურვილსა და შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, ბევრ სასიკეთო და კარგ საქმეს გავაკეთებთ.

– რა გაკავშირებთ წრის წევრებთან?

– უპირველეს ყოვლისა სამსახურებივი მოვალეობის გრძნობა, ამასთან პოეზიის სიყვარული და რაც მთავარია კარგი მეგობრობა.

– რა გაქვთ თქვენი თანატოლებისათვის სათქმელი?

– ყველას ვურჩევდი, რომ დრო ფუჭად არ დაეკარგოთ და კარგად გამოიყენონ. ისე არავინ გამიგოს, თითქოს მარტო სწავლისა და წიგნებისაკენ მოვუწოდებდე ჩემს თაობას. – არა, ლამაზად და საინტერესოდ გატარებული დრო დაკარგულად არ ითვლება, ჩემს მეგობრებს კი, ამ ბოლო დროს რომ გაანომალისტდნენ, ვეტყოდი სჯობს ისევ ტრადიციულ ლექსს დაუბრუნდნენ, ჭკვიანურად და კლასიკურად იაზროვნონ.

– რა გიხარიათ და რა გაწუხებთ ყველაზე მეტად?

– ძალიან მიხარია, როდესაც რაიმე დასახულ მიზანს მივაღწევ, არანაკლებ მახარებს ჩემი მეგობრების წარმატებებიც...

რაც შეეხება წუხილს – ყველაზე მეტად დღევანდელობა, დღევანდელი საქართველო მტკივა და მაწუხებს.

ძალიან განვიცდი ქართული ლიტერატურის დღევანდელ მდგომარეობას და მისი ბედი მაფიქრებს, როცა არის უამრავი ლიტერატურული დაჯგუფებები, მათ შორის ანომალური, რომელნიც სრულიად ეწინააღმდეგებიან ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, ჩემი აზრით, ასეთ ავტორებს ნაიდაგი არ უნდა მიეცეს, თუმცა დღეს ეკონომიკური მდგომარეობა წყვეტს ყველაფერს.

– როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

– თავისუფალი დრო თითქმის არა მაქვს. ისე, თუ პატარა თავისუფლება ვიგრძენი, მაშინვე მეგობრებს მივაშურებ ხოლმე.

– დაბოლოს, წაგვიკითხეთ რამდენიმე სტრიქონი თქვენი შემოქმედებიდან:

„ეს შემოდგომა შენი უხვი ქერა თმებია,
მსურს ქალწულ ცრემლებს მოვაფერო
ჩემი ლექსები,
საქართველოში ლამაზები ხომ არ კვდებიან,
ნუ დამიობლებ ფერმკრთალ ფიქრებს,
ნუ დამეხსნები!“

ნანა ფიკლაური

ვერ წარმოვიდგენდი ჩვენი საუბარი ოდესმე ისტორიად თუ იქცოდა. მეგონა – კიდევ შევხვდებოდით, კიდევ ვისაუბრებდით – ლაღად, გულღიად... მით უმეტეს, სამუდამოდ დამაკავშირა ბედმა ხევსურეთთან (ნანა წიკლაურს გოგიტა არაბული მომავალმა მეუღლემ დავით ალუდაურმა გააცნო)

... მეხივით გავარდა გოგიტას გაუჩინარების ამბავი... თვალს ვერ ვუსწორებდით კობა მასწავლებელს – დარდისა და წუხილისგან გაქვავებულ კაცს... არ არსებობს თაანგრძნობა, რომელიც ამ ტკივილს გააქარწყლებს... მე კი – თავს იმით ვინუგეშებ, რომ გოგიტას შევხვედრივარ, მასთან მისაუბრია, ვამაყობ, რომ მას ვიცნობდი...

ამ ინტერვიუს, რომელიც 1995 წლის მაისში დედა უნივერდიტეტის ბაღში შედგა, დღის სინათლე ალბათ არც ეღირსებოდა, რომ არა ტრაგიკული შემთხვევა.

ნანა ფიკლაური
2002 წლის 11 ივნისი,
ბარისახოს საშუალო
სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე.

სამშობლო

ეს სიყვარულზე მეტია,
ეს სიცოცხლეზე მეტია,
სამყარო არის ტაძარი,
სამშობლო ნათლის სვეტია,
ცხოვრება ოკეანეა,
ჩემი სიცოცხლე წვეთია,
დუღს და გადმოდუღს გრძნობები,
რაც გულში არ დამეტია...
კი არ ვთქვი, სანთლად დავანთე,
  რაც სიტყვა გამიბედია,
  სამშობლო ჩემი გზაა და
  თანდაყოლილი ბედია.

მთის ტრფიალი

იზა ჯაჭვაძეს

მთიდან ბარამდე, ბარიდან მთამდე
შენ დაატარებ მამულის ნაღველს,
თურმე ვაჟაის ლექსივით თან გვდევ,
თავს გვევლები და თავს კი არ ამხელ.
ცვარ–ნამი ცრემლად თუ არ გდენია,
თვლი, რომ ვერც დილას შვენი სრულიად,
თუ ცისარტყელა ჟრუანტელია,
ზეცა სათუთი შენი სულია.
ჩემი სათქმელიც ბევრ აპრილს უთქვამს,
ერთ ფიქრთან შეგვყრის ერთი ელვის გზა...
ეგ შენი ლექსი — ყვავილთა სუნთქვა,
არწივის ფრთათა ნიავს ესიზმრა.
ჯიში იქმს, მოყვასთ რომ იძენ უხვად,
კვლავ აუსრულდი ნატვრად, დაე, მთებს!
სხვათა ტრფიალში მიმოკარგულხარ,
და საკუთარ თავს ასე დაეძებ.
საგზლად იკმარებ იმედს და ღიმილს,
სივრცეს წინაპრის მზერით დაჰყურებ,
შენს გულში არის გზა გამოვლილი,
ყველა მთა, ქვეყნის მოჭირნახულე...

მთის ტრფიალი

ლეილა არჩემაშვილს

დილიდან მზესავით ავდგები,
მივაგდებ ნისლების ნაბადს,
დამლოცვენ ლომისის ხატები,
რაღაა სხვა მადლი, აბა?!
შევკრებავ ჩემს ალალ ძმაკაცებს,
გადგუშლი გულსა და სუფრას,
ჩონგურის ტკბილი ხმა აგვავსებს,
ლექსებად დავდნებით სულ მთლად.
მთებში თუ ვერა ხარ ამაყი,
აბა, მაშ, რიღასთვის ცხოვრობ?!
ვერ მათრობს ლუდი და არაყი,
ქალაუ, შენ მათრობ მხოლოდ.
გავხედავ მშობლიურ მთა–გორებს,
სადღაც ჰქუხს არაგვი ურჩი,
სამშობლოვ, დედაჩემს მაგონებ
და მინდა ჩაგიკრა გულში!
გავძახებ ჩემს სათქმელს ჭიუხებს,
იცოდნენ, რა ცეცხლშიც ვიწვი...
ვაჟებო, ამ მთების ტრფობისთვის
ერთმანეთს შევეკრათ ფიცით!

ქალბატონო იზა!

გილოცავ დაბადების დღეს – 7 მარტს და ქალთა საერთაშორისო დღეს – 8 მარტს.

იხარე და იბედნიერე შენს ერთადერთ ვაჟიშვილთან – **ლაშაგიორგი კრავეიშვილთან**, და-ძმებთან – **ირაკლი, რენო, ზოია ანზორ ჯაჭვაძეებთან** ერთად ოჯახებით, ნათესავებით, მეგობრებით, შენთვის მეტად ძვირფასი დედასაქართველოთი.

მრავალი შემოქმედებითი წარმატებებით გაგეხარებინოს სამშობლო, რომელიც ასე თავდავიწყებით გიყვარს, ერთგულობ და უშიშრად ებრძვი უკეთურებას.

რომან ზუკაკიშვილი,

საგარეჯო

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

პოეტურ ტაბლაზე ანთებული



ნოშრევან (გიორგი) არაბული

ნოშრევან (გიორგი) არაბული დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში 1951 წლის 1 აგვისტოს დაიბადა. ოჯახში დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა. 1973 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი და იმავე წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. მისი დასრულების შემდეგ, ისევ ბარისახოში დაბრუნდა და ადგილობრივ ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი სამშენებლო სამმართველო „კავგვიარაბშენში“. 1985 წლის 28 დეკემბერს დაქორწინდა ნატალია ლაგაზაშვილზე. ცოტახანს ისინი სოფელ კორშაში დაბინავდნენ, მაგრამ სამსახურის გამოცვლის გამო მოუხდათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და ამიტომ დუშეთში დასახლდნენ. მათ სამი შვილი შეეძინათ: ლელა, ალექსანდრე და ლევანი.

1990 წლის 18 ოქტომბერს, დილით სამსახურში მიმავალი ნოშრევან არაბული ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ნოშრევან არაბულმა ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო და იბეჭდებოდა მაშინდელ პრესაში, იწვევდნენ ლიტერატურულ საღამოებზე. ბუნება, ხევსურეთი, სამშობლო, სიყვარული – ეს იყო ის ძირითადი თემები, რაც პოეტს აღელვებდა. მისი სტილი დახვეწილი და გამორჩეულია, ლექსიკა კი ნასაზრდოებია მარგალიტებივით შემორჩენილი ძირძველი ქართული სიტყვებით. პოეტი იშვიათად იყენებდა დიალექტურ ფორმებს. მიუხედავად ამისა, მისი ლექსები ინდივიდუალური ნიშნითა არის აღბეჭდილი და უძლიერესი ემოციური მუხტით დატვირთული. მისი პოეზიის გაცნობისას აუცილებლად გაგახსენდება გოდერძი ჩოხელის სიტყვები: „მწერალი უნდა ცდილობდეს სანთელივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონამორჩილია დედა ენის, მაშინ დედა ენაც ლოცულობს შვილისთვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში“... ნოშრევან (გიორგი) არაბულის შემოქმედებაც „მორჩილია“ დედა-ენის, „ლოცულობს“ მისთვის და „სანთელივით ანთია“ მის პოეტურ ტაბლაზე...

***

მე არ ვიცოდი, შენ თურმე მაშინ
გტკიოდა გული, როგორც არასდროს
შენ იყავ შემი ცხოვრების მახშვი
მუდამ გამტანი და უღალატო.
ახლა უშენოდ ყოფნა გაძნელდა,
ბედმა უღელი ქედზე დამადო
უბრალოდ, ნუგეშს არვინ მაძლევს და
არვინ მიღიმის, — თუნდაც სამადლოდ.

ჩაფიქრებული მოტივებიდან

***

გადავიღალე ამდენი წანწალით,
მეყო, მოვჭამე ჩემი დროება,
ალბათ ყველაფერს წინ გავასწარი,
ყოფნას, სიცოცხლეს, ამაოებას.
არც ერთგან აღარ მეკუთვნის ბინა,
ვარ გაკიდული ცა — მიწას შორის,
გზები მომჭრია უკანაც, წინაც,
მთავრდება ჩემი პატარა როლი.

***

ისე მომწყინდა ახლა უთქვენოდ,
რომ ლამის არის გამგუდოს დარდმა,
გულგაკერპებით, დინჯად, უცრემლოდ,
გადავიტანე რამდენი დარტყმა,
მაგრამ ეს დარტყმა ისე მწარეა,
რომ გადატანა ძალიან მიჭირს,
და ვითშენ მიტომ, რომ მიხარია
ორი პატარა გოგო და ბიჭი.

***

მთვარის მგზავრული
აბა შენ იცი მთვარეო
როგორ მშვიდობით მავლეო,
ამ ღამით მარტო მივდივარ,
თავი შენ მოგაბარეო.
წამოდი, შენაც გამამყევ,
თეთრად გავტეხოთ ღამეო.

***

მონატრებიათ ხეებს ნიავის
მსუბუქი, ნაზი გაშრიალება
მთებზე დაწვება ღამე ტიალი,
ყორნისფრთება და ყორნისთვალება.
განთიადის წინ ამოვა მთვარე
და ჩაშლის სხივებს ყვითელ კონებად,
დაეფინება ვეება ხრამებს,
კლდეებს გულ–მკერდზე ეამბორება,
გაიბრჭყვიალებს ფოთლებზე მწვანედ,
სულში ჩაგხედავს და გეგონება
თითქოს ასწორებ ყოველთვის ვალებს
და სულ თავიდან იწყებ ცხოვრებას.
... ...
მერე საოცრად ლამაზ წამების
დაელოდები განმეორებას.

***

იფერფლება ღამე ჩვეულებრივად,
არაგვის და ზამთრის ქართა ქროლაში,
ცაზე მთვარე ღრუბლის ჯარებს შებმია,
ჩაბმულია გახურებულ ბრძოლაში.
დამშვიდებულ ბუნებასთან პაექრობს

***

თებერვალი ცივი და უკარება.
და როგორც ჩანს, ვერ პოულობს საერთოს
და ქურდივით ჩუმად მიიპარება...
შენ არ ჩანხარ, გული კვნესის საშინლად,
თითქოს მისთვის უკბენია მორიელს,
ჩემი ფიქრი იმას იქით დაშლილა,
გაზაფხულს და შენ მოგელით ორვივეს.

გალაკტიონი

გალაკტიონში არის დემონი...
ტ.ვრანელი

უცნაურ ხილვებს, საფლავთა ჩრდილებს
რად დასტრიალებს თავზე ღრუბელი,
მიახლოვდება სიბნელე მძიმედ,
ყოვლის მომცველი და დამღუპველი.

შველა არსაით არ მეგულება,
ვარ უმწეო და მიუსაფარი,
ირგვლივ წვიმაა, ნისლის ქულები
გაშლილან როგორც ლომის ფაფარი.

მწამს პოეზიის მხოლოდ სიწმინდე,
სხეულის? სად აქვს სიწმინდე სხეულს,
და როგორც ვარდებს, ვარდებს სისხლისფერს,
გულში ვიხუტებ „სისხლიან რვეულს“.

ახლა მარტო ვარ, შველას არ ველი,
და ისევ ვნატრობ სადმე ხეტიალს,
ქვეყნად ერთია მხოლოდ ვრანელი,
გალაკტიონიც მხოლოდ ერთია.

ჯემალ პავლიაშვილი

ჯემალ პავლიაშვილი კახეთში, სტორის ხეობის ერთ ულამაზეს სოფელ ფშაველში დაიბადა. მამამისი – ედიკო პავლიაშვილი მშვენიერი გარეგნობითა და კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა, ხოლო დედა – ასმათ ჩოხელიშვილი ლეჩურელი ფშაველი ქალბატონი და მოლექსის – ბაბალე ჩოხელიშვილის ქალიშვილი იყო.

ჯემალი ყმაწვილობიდანვე სიცელქით, მოუსვენრობითა და გონიერებით გამოირჩეოდა, ამასთან სკოლაში ბეჯითი, კარგი მოსწავლე, თითით საჩვენებელი და უბნის სიცოცხლე იყო, დედ-მამის მოყვარული და დამჯერი. ვარჯიშობდა და თანდათან ვაჟკაცდებოდა. ფშავლის საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა და სამშობლოს ვალიც პირნათლად მოიხადა. იგი ფხიზლად იდგა სამშობლოს სადარაჯოზე. აქვე მოეწონა და შეუყვარდა სამხედრო ცხოვრება და აკი ბოლოს მისი მსხვერპლი გახდა.

ჯემალს ერთნაირად უყვარდა ფშავლის მოსახლეობა, ღარიბიცა და მდიდარიც, დიდიც და პატარაც. მთელ უბანს და სოფელს ხომ თავზე ევლებოდა. ვისაც რამე გაუჭირდებოდა, მაშინვე ჯემალი იყო პატრონი, ყველგან ის იყო ჭირში თუ ლხინში. ყველა მისით ამაყობდა.

პატარა ცოლშვილის, ახალ მონაშენეს და ხელმოკლეს, თუ რაიმე ებადა, გაჭირვებულ მეზობლებს ეხმარებოდა. ზოგს მანქანით, ზოგს ფინანსურად, ექიმებთანაც კი შუამდგომლობდა, რომ ოპერაციები უფასოდ გაეკეთებინათ და საკუთარი მწირი შესაძლებლობებით თავად ისტუმრებდა მათ.

ჯემალ პავლიაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების №20521 სამხედრო ნაწილის მე-3 ბატალიონის ასმეთაური იყო. აქვს კარგი დახასიათებები და ჯილდოები, რომლებიც მის კეთილშობილებასა და სიმამაცეზე მეტყველებს.

1998 წლის 28 აგვისტო ავბედითი აღმოჩნდა მამაცი სამხედრო მოსამსახურისა და ღირსეული მამულიშვილისათვის. ჯარში იმ დროისათვის არსებულმა უწესრიგობამ და განუკითხაობამ იმსხვერპლა. ორმა უღირსმა ჯარისკაცმა ტყვიამფრქვევის ჯერით ჩაცხრილეს ჯემალ პავლიაშვილი.

ასე დაასრულა ქართულ ჯარში მოღვაწეობა ოჯახის, თანასოფლელებისა და სამშობლოს მოყვარულმა უმამაცესმა და უკეთილშობილესმა ვაჟკაცმა ჯემალ პავლიაშვილმა.

დედამისი კი, უკვე ჭაღარაშერეული ფშაველი ქალი – **ასმათ ჩოხელიშვილი** ძროხებს მწყემსავს და კვლავ გულმტკივანი და თვალცრემლიანი მისტირის ტრაგიკულად დაღუპულ შვილს.

იზა ჯაჭვაძე

ბოლო გვერდი

დაუვიწყარი საღამო

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს მწერალთა კავშირმა კიდევ ერთი ლამაზ და შტამბეჭდავ საღამოს უმასპინძლა და რომელიც პოეტ ეთერ ზარიძის შემოქმედებას მიეძღვნა.

კეთილგონიერმა პოეტმა კარგად იცის სიცოცხლის, სიყვარულის, ერთგულების და მეგობრობის ფასი. იგი ბედისწერამ და ნიჭმა დიდ მგოსნებამდე მოიყვანა, აიარა თავისი ქვეყნის – ქართველი ერის მადლსა და სიყვარულს.

პოეზიის საღამოს, უძღვებოდა პოეტი მიმოზა ცანავა, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ და თვალსაჩინო პოეტმა მაყვალა გონაშვილმა. მან ისაუბრა ეთერ ზარისძის პოეზიაზე, მის ღირსებებზე, სათნოებასა და სიყვარულზე. შტამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა და რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა.

პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა კლასიკოსმა მწერალმა ოცდამეერთე საუკუნის ბრწყინვალე ნოველისტმა, საზოგადო მოღვაწემ, დიდი და მრავალი ტიტულის მფლობელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ, რომელმაც განსაკუთრებული სითბოთი ისაუბრა პოეტის შემოქმედებაზე.

მწერალთა კავშირის აუდიტორია დიდი ოვაციით შეხვდა ბრწყინვალე მსახიობის და დიდებული პიროვნების გუჯა ბურდულის გამოსვლას, რომელმაც გულთბილად მიულოცა ეთერ ზარიძეს შემოქმედებითი საღამო და შემდგომი წარმატებები უსურვა.

დაუვიწყარი იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ბაღათერ არაბულის სიტყვა, რომელმაც ეთერ ზარიძის შემოქმედებაზე ისაუბრა, მის შესანიშნავ ოჯახზე და მის კეთილ ფესვებზე. შთამბეჭდავი სიტყვა წარმოითქვა პოეტმა დალი ყარაულაშვილმა, რომელმაც სითბო და სიყვარული არ დაიშურა ქალბატონ ეთერისათვის.

ეთერ ზარიძეს ექსპრომტები მიუძღვნეს ქალბატონებმა: ივეტა პავლიაშვილმა, ნანა დარჩიაშვილმა, ეთერ აფაქიძემ, ზურაბ მამულაშვილმა, გურამ ჭავჭანიძემ და იამზე არველიძემ.

ეთერ ზარიძემ საკუთარი ლექსები წაიკითხა და მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, რომელიც ამ საღამოს თაოსანი გახლდათ.

დასასრულს მიმოზა ცანავამ წაიკითხა ეთერ ზარიძისადმი მიძღვნილი ექსპრომტი.

ივეტა პავლიაშვილი

გამოსავალი – გაერთიანებაა!

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ (თავმჯდომარე **ნინო ელბაქიძე**) ორგანიზებით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა სამუშაო ადგილებზე“ ფარგლებში ჩატარდა სემინარი.

რა არის გენდერული თანასწორობა, გენდერული თანასწორობის არსი. ამ მართლაც აქტუალურ საკითხებზე ამომწურავად ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელმა ანა აბაშიძემ.

ადამიანის უფლებების შესახებ მიმოხილვა წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელმა, ახალგაზრდა იურისტმა გიორგი ვაჩაძემ.

ქალთა და მათ შორის დასაქმებულ ქალთა მდგომარეობაზე და ამ კუთხით არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე, შრომის კოდექსისა და საქართველოს კანონის – საჯარო სამსახურის შესახებ მოთხოვნების მიხედვით დასაქმებულ ქალთა არათანაბარ მდგომარეობაზე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციის „დედობის დაცვის“ რატიფიცირების აუცილებლობაზე ისაუბრა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ეთერ მათურელმა.

ძალიან ხშირად კანონით მინიჭებული უფლებების არ ცოდნა პრობლემებს უქმნის დასაქმებულ, ან დასაქმების მაძიებელ ქალებს. პროფესიულ კავშირებთან და ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ინიციატივების მხარდაჭერა მოგვცემს შესაძლებლობას, სწორად წარმოვაჩინოთ ჩვენი საქმიანობა, ვისწავლოთ ჩვენი უფლებების დაცვა. აღნიშნული კი საშუალებას მოგვცემს შევძლოთ როგორც ჩვენი, ისე სხვისი უფლებების დაცვა. „ვიმედოვნებ, რომ არსებული პრობლემის გადაწყვეტის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება, რომლის საწყისიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციის „დედობის დაცვის შესახებ“ რატიფიცირება და შრომის კოდექსში ცვლილებების მე-2 ეტაპის დაჩქარება იქნება“ – აღნიშნა ეთერ მათურელმა.

სემინარის მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გამოსავალი საკუთარი უფლებების ცოდნაში, სამართლიანობის აღდგენაში, პროფესიული კავშირების გაძლიერებასა და სოლიდარობაშია!

გავერთიანდეთ, იქნება სოლიდარობა, ყველაფერი გამოვა!..

ციცინო ბაბუციძე

«მერე... რო ჩამოდგა თოვანი»...

ეპიჰვეული ბვეიდიდან

ზამთარში ჩვენთან სამი კაცი დაოჯახდა, რაც იმის იმედს გვაძლევს, რო ხევსურეთს გადაშენება არ უწერავ, „კლოვისად“ უფრო მეტს მოეყვანას ცოლი!

P.S. ხევსურეთში იტყვიან: სიკვდილს აღარა ეშველების, თორე დანარჩენს ყველას მოევლებაო. საქართველოში მთლიანად მოევლება ალბათ ყველაფერს, ურთიერთთანადგომითა და თანაგრძნობით, მთისა და ბარის, სოფლისა და ქალაქის ერთობით...

და გაზაფხულის მოსვლით...

2004 წელი.

იზა!

მე რომ შემეძლოს ცხოვრების ხელახლა დაწყება, სხვანაირად გავირჯებოდი, „თუმცა კი წერა-მწერალი, თავისას მაინც გაიტანს, ეს გული მარტოდ შთენილი, ტკივილებს ვეღარ აიტანს“ – ეს 2006 წელს დაწერილი სტრიქონები, ჩემი ლექსებიდან არის.

ტკივილი მიწებდაკარგული სამშობლოსი, ტკივილი ნახევრადდაცლილი ხევსურეთისა, სხვათა ტკივილი – გაჭირვებული ხალხისა, რომელთაც უნდა მიეშველო, მაგრამ არა ხარ ისე ძლიერი, რომ ეს შეიძლო...

თუმცა ხანდახან სიხარულებიც გამოერევა ხოლმე ჩემს ცხოვრებაში – ჩვენი სპორტსმენების და ხელოვანების გამარჯვებები მსოფლიო არენაზე, კარგი ლექსის, ან კარგი მოთხრობის, სტატიის წაკითხვა, კარგი ადამიანის გაცნობა. ადამიანი ხომ ყოველთვის წინა პლანზე დგას. ჩემში, ადამიანი თავისი სიძლიერით, სისუსტით, სილამაზით, ნიჭიერებით, უნიჭობითაც, რადგან იგი ღვთის-შვილია, – ადამიანია!

და კიდევ... იმედი მასულდგმულებს, მომავლის რწმენა, მომავალი თაობის, ლამაზი გოგო – ბიჭების მოსვლა, ჩვენზე ძლიერი და სულიერებით მდიდარი თაობის დაზრდა.

„თქვენ რომ გიყურებთ, მემატება ძალი და ღონე, ასე მგონია მეც ხარი ვარ და ისიც – ლომა!..“ (შ. ნიშნიანიძის „ხარი“.)

... და ვფიქრობ ჩემო იზა, არც ისე დაკარგული ვარ, ძმისწული ვარ „უსუპისი“ – კიდევ რაღაცის გაკეთება შემიძლია, შემიძლია მოყვასისთვის გვერდში დგომა, უმცროსისთვის სწორ გზაზე დადგომის სწავლება, ადათ-წესების გაფრთხილება, წაქცეულისთვის ხელის გაწვდენა, გაძლიერება სოფლისა, თითოეული ოჯახისა...

სამსახურიც ასეთი მაქვს, პირაქეთა ხევსურეთის გამგებელი (რწმუნებული) ვარ და რაიც ხელთ ბერკეტები მაქვს, ამისათვის არ დავზოგავ არაფერს, და თუ დასჭირდა სამშობლოს, სხვა რამესაც „ვიქმ“ (ქადილი არ მჩვევია, მაგრამ შენთან შემიძლია ამაზე ლაპარაკი, ვიცი – გამიგებ) და ვიცი, მჯერა, რომ ჩვენი გზა მართალია, ღირსეული, და გამარჯვებამდე მიგვიყვანს – „ეღირსებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა“.

... ეღირსების!..

გოგი ჭინჭარაული
4. XII 2011წელი.
ბარისახო.



გაზეთ „კავკასიის“ მთავარი რედაქტორი – იზა ჯაჭვაძე, რედაქტორი – ლაშაგიორგი კრავეიშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური (ჯურხათ ივანე), ჯუმბერ გოგრიჭიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარანაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი, გაზეთ „ერუდიტის“ გამომცემელი გოჩა ღვინიაშვილი, ჟურნალ „ბაჩაჩას“ გამომცემელი კობა ბედოიძე, დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შატილის საჯარო სკოლის დირექტორი, სახელოვანი ოჯახის შვილი, კაი ყმა

– შოთა (აპარეკა) ჭინჭარაული

და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს, შვილებს, ძმას, სანათესაოს, მეგობრებს და მთელ ხევსურეთს.

დედა-შვილს

ნინო და გიორგი პაპიაშვილებს

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, დღეგრძელობა მრავალჟამიერ!..

დიანა გიგიაძე და მისი მეგობრები

კავკასია

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშაგიორგი
კრავეიშვილი

სარედაქციო კოლეგია: დიანა გიგიაძე, ივანე წიკლაური, ჯუმბერ გოგრიჭიანი, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ლევან ცალუღელაშვილი, მარინე თექთუმანიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, გულო კობიაშვილი, გოჩა ხარანაული, მზია ხეთაგური, ომარ მარუქაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ეთანხმებოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 599-79-76-13

დაკაბადონდა
კობა ბედოიძის
დიზაინცენტრში
www.bedoidze.site.ge